1. სადოქტორო პროგრამის დასახელება - ისტორია / **History**

2. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:
სრული პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი
პროფესორი თედო დუნდუა

3. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ისტორია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს კაცობრიობის მთელ წარსულს დასაბამიდან დღემდე. ის შეისწავლის პოლიტიკურ მოვლენებს, სამხედრო მოქმედებებს, საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ ასპექტებს, კულტურულ მემკვიდრეობას, მეცნიერების მიღწევებს და ა.შ. ისტორია უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ სფეროს და ის იძლევა ინფორმაციის ყველაზე ფართო სპექტრს, რითაც ხელს უწყობს ადამიანს ნამდვილ ერუდიტად ჩამოყალიბებაში. ისტორია ასწავლის ადამიანს ჭეშმარიტების ძიებას და ამავე დროს აყალიბებს ადამიანში ნამდვილ მოქალაქეს ანალიტიკური, კრიტიკული და კომუნიკაციური უნარებით, რაც მნიშვნელოვანია ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე საზოგადოებისათვის. ქართველი მეცნიერები ყოველთვის ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ მსოფლიო ისტორიულ აზროვნებას, და, რასაკვირველია, დღეს, როდესაც საქართველო მიისწრაფვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ, მას ნამდვილად სჭირდება ისტორიის მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები.

ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით წარმოდგენილი პროგრამა იყოფა შემდეგ მიმართულებებად: საქართველოს ისტორია, ძველი მსოფლიოს ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, ახალი და უახლესი ისტორია. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია 2005 წლის 19-20 მაისს უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების ბერგენის (ნორვეგია) კონფერენციის მიერ ჩამოყალიბებული დებულებები. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია გარდამავალი ეტაპის დოქტორანტებისათვის, რომლებსაც უკვე შესრულებული აქვთ სასწავლო კომპონენტი და დამთავრებული აქვთ საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობა.

დასაქმების სფეროები: დისერტაციის დაცვის შემდეგ, უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების გარდა, დოქტორანტი შესაძლებელია დასაქმდეს სახელისუფლებო და კერძო სტრუქტურებში.

4. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:
სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია ისტორიის სპეციალობის ყოფილი მაძიებლებისა და ასპირანტებისათვის, რომლებზეც ვრცელდება თსუ "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ დადგენილების" გარდამავალი დებულებები. კერძოდ, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- რომელიმე ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მაძიებელს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში ზემოთ აღნიშნული ცოდნის დონის შესაბამისი ფორმატით.

5. კვლევითი კომპონენტი:
დოქტორანტის მომზადებაში უმთავრესია სადისერტაციო ნაშრომი, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს სწავლების მთელ მანძილზე. სადისერტაციო ნაშრომი იქნება მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს

მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინგადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის შემდგომ კვლევაში. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს 150-250 გვერდს (არაუმეტეს 400000 ასო-ნიშნისა, MS Word -ში, შრიფტის ზომა _ 14). დოქტორანტურა დასრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი დასაცავად წარადგენს სადოქტორო დისერტაციას. სადოქტორო დისერტაცია დასაცავად დაიშვება თუ საკვლევი თემის ირგვლივ დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს 3 ნაშრომი რეიტინგულ პერიოდულ გამოცემებში.

6. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

დოქტორანტთა განკარგულებაში იქნება თსუ საუნივერსიტეტო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები, საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკები, სხვადასხვა არქივები და წიგნთსაცავები, ინტერნეტ-რესურსები, პროფესორების პირადი ბიბლიოთეკები. მათ შეეძლებათ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა, საჭიროების შემთხვევაში კი აუცილებელი უახლესი ლიტერატურის გამოწერა უცხოეთიდან.

7. დოქტორანტების რაოდენობა

არსებული რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 7 დოქტორანტის მიღება.

8. პროგრამაში ჩართული პროფესორები:

თედო დუნდუა - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თეიმურაზ პაპასქირი - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სრული პროფესორი
ლევან გორდეზიანი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი
ია ხუბაშვილი- ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გაზაფხულის სემესტრი
2010 წელი